ცხოველთა სასწრაფო დახმარება



ეროვნული ბიბლიოთეკა

This product is made possible through the generous support of the All Children Reading partners: the United States Agency for International Development (USAID), World Vision and the Australian Agency for International Development.
It was prepared by Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations and does not necessarily reflect the views of the All Children Reading partners.

მომზადებულია პროგრამის - „ყველა ბავშვი უნდა კითხულობდეს - უდიდესი გამოწვევა განვითარებისთვის“ პარტნიორთა - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), World Vision-ისა და ავსტრალიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Australian AID) მხარდაჭერით.
წიგნი მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ და შესაძლოა არ ასახავდეს (ან არ ემთხვეოდეს) პროგრამის პარტნიორთა შეხედულებებს.

ავტორი: ნათია გორგაძე

რედაქტორი: კახა გაბუნია

დიზაინერი: ანა ბერიძე

თბილისი
2013

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IX დონე

ცხოველთა სასწრაფო დახმარება

კითხვის კიბე

დონეებად დაყოფილი საკითხავი წიგნები ბავშვებისთვის

www.reading.ge

კვირაა. საღამოა. წვიმს. ქუჩები ცარიელია. ყველა სახლშია.

ცხოველთა სასწრაფო დახმარებაში სინათლე ანთია. სასწრაფო დახმარებაში ლევანმა ლეკვი მოიყვანა. ლეკვი შავია და ძალიან საყვარელი.

- დამეხმარეთ! - ყვირის ლევანი.

- ქუჩაზე გადარბოდა და მანქანა დავარტყი!

ლეკვი წკმუტუნებს. ლეკვს სისხლი სდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს გია ექიმია.

გია ექიმი ცხოველებს მკურნალობს. მას ძალიან უყვარს ცხოველები.

- აბა, მაჩვენეთ ერთი, რა სჭირს ამ საწყალს, - ამბობს გია ექიმი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ექიმი ლეკვს სინჯავს. ის ყურადღებიანია. მას ძალიან უყვარს ცხოველები.

გია ექიმი დაძაბულია. ლეკვს ფეხი აქვს მოტეხილი. გია ექიმს ეშინია. მან იცის, რომ ლეკვს კიდევ სხვა დაზიანებებიც შეიძლება ჰქონდეს. ასეთი დაზიანებები ხანდახან არ ჩანს გასინჯვისას.

ლევანი მოსაცდელში ზის ჩუმად. ისიც დაძაბულია. ლევანი განიცდის, რომ ლეკვი ვერ დაინახა და მანქანით დაეჯახა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ნეტავ გადარჩეს - ფიქრობს ჩუმად ლევანი, - გადარჩეს, რომ სახლში წავიყვანო და მოვუარო.

გია ექიმი გამოვიდა.

- წინა მარჯვენა ფეხი სამ ადგილას არის გატეხილი. სისხლდენაც არის. საოპერაციოა და თანაც სასწრაფოდ!

F5-340

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეკვის ოპერაცია ორი საათი გაგრძელდა. გია ექიმმა სერიოზული ოპერაცია გაუკეთა ლეკვს.

- გია ექიმი დაიღალა. ის ძალიან კარგი ვეტექიმია. მასთან ძალიან ბევრი ცხოველი მიჰყავთ სამკურნალოდ.

- წავალ, იმ ბიჭს გავახარებ - ეუბნება გია ექიმი ასისტენტს. ძალიან განიცდის, ფერი არ ადევს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ყველაფერი კარგადაა! - გავიდა გია ექიმი ღიმილით. წესით და რიგით, ყველაფერი უნდა აღუდგეს. ეს ლეკვი ერთ თვეში ისევ ისე ირბენს.

ლევანი ბედნიერია. მან სახელი მოუფიქრა ლეკვს. ლეკვი ლევანთან იცხოვრებს და „ლაქი“ ერქმევა.

იცი, რას ნიშნავს ინგლისურად სიტყვა „ლაქი“ (lucky)?

F5. 840
1

გამომცემელი: „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“

დონე	IX
ტექსტში სიტყვების რაოდენობა	174
ლექსიკური ერთეულების რაოდენობა	78
წინადადებაში სიტყვების საშუალო რაოდენობა	4

ISBN 978-9941-0-30 88-8

www.reading.ge